ოქმი:**ო03. 3726015001**

თარიღი:**15/01/2026**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 14 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14:00-14:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, გ. მდინარაძე, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, გ. გაბისინანი, კ. კვაჭაძე, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია, დღის წესრიგის პირველ საკითზე - მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მომზადებულია მთავრობის შესაბამისი

გადაწყვეტილების საფუძველზე და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების 10%-იან ზრდას. შესაბამისი ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხზე და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა დღის წესრიგის მეორე საკითხზე და განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტიც მომზადებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების 10%-იან ზრდას. შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა დღის წესრიგის მესამე საკითხზე და განაცხადა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზრდას. შესაბამისი ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ოთხივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი